ხობის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ გოჩა ქაჯაიას

ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის გვანცა კიკალეიშვილის

განცხადება

ბატონო გოჩა,

მოგახსენებთ, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე განსახილველად წარდგენილი საკითხებიდან საბჭოს წევრებმა მოიწონეს შემდეგი ინიციატივები:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების მიმდებარე ტერიტორიაზე საინფორმაციო ბანერების განთავსება

2. ქ. ხობში მონიტორის დამონტაჟება

ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე საინფორმაციო ბანერების განთავსება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობას, ხოლო ქალაქის ცენტრში მონიტორის დამონტაჟება მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი და საინტერესო. მონიტორზე შესაძლებელია რეკლამების, საინფორმაციო რგოლების, ტურისტული მარშრუტების და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის განთავსება.

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი

პატივისცემით,

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: გ. კიკალეიშვილი გვანცა კიკალეიშვილი

27.02.2019წ.

ტელ: 558 11 12 31

ხობის მუნიციპალიტეტის მერია
№ 955
27 02 19 წ.
5 ფურცელი
მიღებული ორიგინალი

ოქმი N2

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანის - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომისა

2018 წლის 26 ნოემბერი

ქალაქი ხობი

15 საათი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გვანცა კიკალეიშვილი - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
2. ალექსანდრე არჩაია - წევრი;
3. გურამ კვიკვინია - წევრი;
4. მურმან ბაბილუა- წევრი;
5. ადა შელია - წევრი;
6. ნინო ქარჩავა - წევრი;
7. გიორგი გოგოხია - წევრი (მდივანი);
8. ნათია სალაყაია - წევრი;
9. დავით ჭოჭუა - მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
10. ზაზა ბუკია - მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;
11. მალხაზ იოსავა - ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი:

1. 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა.
   (მომხსენებელი - დ. ჭოჭუა; საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

2. ინიციატივა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების მიმდებარე ტერიტორიაზე საინფორმაციო ბანერების, ხოლო ქ. ხობის ცენტრში მონიტორის დამონტაჟების შესახებ;
   (მომხსენებელი - გ. კიკალეიშვილი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე)

1. 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა.
(მომხსენებელი - დ. ჭოჭუა; საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მომხსენებელმა საბჭოს წევრებს გააცნო 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრები და პრიორიტეტები. დ. ჭოჭუას განმარტებით: შემოსულობები განისაზღვრა 8461.3 ათასი ლარით. აქედან: გადასახადები 7750,0 ათასი ლარი; 210,0 ათასი ლარი - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად; სხვა შემოსავლები 411.3 ათასი ლარი; ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 90 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს:

მურმან ბაბილუა - დაინტერესდა ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მიმართულებებით, კერძოდ თუ რა წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტს.

დ. ჭოჭუა - განაცხადა, რომ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითად პრიორიტეტს - სოციალური სფერო და სკოლამდელი განათლება წარმოადგენს.

ნ. ქარჩავა, ნ. სალაყაია - დაინტერესდნენ ბიუჯეტის პროექტის სოციალური და ჯანდაცვის პაკეტით.

დ. ჭოჭუა - განაცხდა, რომ მუნიციპალიტეტში წინა წლების მსგავსად მომავალ წელსაც იფუნქციონირებს „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის“ და „სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის პროგრამის“ მუნიციპალური პროგრამები. 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ბიუჯეტი 39240 ლარს, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის პროგრამის ბიუჯეტი 464900 ლარს შეადგენს.

მომხსენებლის განმარტებით სოციალური პროგრამიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი ქვეპროგრამები: მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე. ამ მიზეზით 2019 წელს გამოიყოფა ყოველწლიურად 39,3 ათასი ლარი.

მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეწევა 4 და მეტი შვილზე 85 ოჯახს, 100 წელზე უხნეს 7 პიროვნებას, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი - გამოყოფილია სულ 50,0 ათასი ლარი, ერთი ბავშვის შეძენისას გაიცემა ერთჯერადი დახმარება 100 ლარი, ხოლო მესამე და ზევით 300 ლარი.

სტიქიური მოვლენებითა და ხანძრით დაზარალებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, გასაცემი თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 3000 ლარს და გაიცემა ერთჯერადად, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.
მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა. ავარიული სახლების შესაკეთებლად, გაიცემა ერთჯერადად 500-დან 3000 ლარამდე.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი სახით მოწონების შესახებ
კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: მოწონებულ იქნეს 2019 წლის ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი რედაქციით

2. ინიციატივა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების მიმდებარე ტერიტორიაზე საინფორმაციო ბანერების, ხოლო ქ. ხობის ცენტრში მონიტორის დამონტაჟების შესახებ.

(მომხსენებელი - გ. კიკალეიშვილი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე)

მომხსენებელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ინიციატივა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების მიმდებარე ტერიტორიაზე საინფორმაციო ბანერების, ხოლო ქალაქ ხობის ცენტრში მონიტორის დამონტაჟების შესახებ.

მომხსენებლის განმარტებით ადმინისტრაციულ ერთეულების ტერიტორიაზე საინფორმაციო ბანერების განთავსება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებას; ხოლო ქალაქის ცენტრში მონიტორის დამონტაჟება მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი და საინტერესო. მონიტორზე შესაძლებელია რეკლამის, საინფორმაციო რგოლების, ტურისტული მარშრუტების და მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებმა მოიწონეს ინიციატივა საინფორმაციო ბანერების და მონიტორის დამონტაჟების შესახებ.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების მიმდებარე ტერიტორიაზე საინფორმაციო ბანერების, ხოლო ქალაქ ხობის ცენტრში მონიტორის დამონტაჟების შესახებ ინიციატივის მოწონებაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: მოწონებულ იქნეს ინიციატივა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების მიმდებარე ტერიტორიაზე საინფორმაციო ბანერების, ხოლო ქალაქ ხობის ცენტრში მონიტორის დამონტაჟების შესახებ

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე გვანცა კიკალეიშვილი